სახელმწიფოს როლი სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაში

DOI - 10.36962/ecs105/9-10/2022-08

გრიგოლ აბრალავა
სტუ დოქტორანტი,
r.kutateladze@gtu.ge

ანზორ აბრალავა
სტუ-ს პროფესორი.
a.abralava@gtu.ge

ანოტაცია

ბაზრის რეგულირების პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით დაუკმაყოფილებლობის განცდა აქვთ დღეისათვის როგორც ნეოკეინზიანური, ასევე ნეოკლასიკური სკოლის წარმომადგენლებს. გარდა ამისა, ეროვნული ეკონომიკების საერთაშორისო ურთერთდამოკიდებულების გაძლიერების პირობებში ჩნდება შეთანხმებული საერთაშორისო ანტიკრიზისული რეგულირების აუცილებლობა, რამაც უნდა გააძლიეროს ზემოქმედება ბაზრის განვითარებაზე. ამასთან მიმართებით, საკითხი საბაზრო მეურნეობაში სახელმწიფოს როლის შესახებ დღემდე იწვევს ცხოველ კამათს ეკონომისტებს შორის. მეურნეობის მართვაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს ეკონომიკურ თეორიაში. ქვეყნისთვის აღნიშნული პრობლემის აქტუალობას აძლიერებს სოციალურად ორიენტირებული სა-

ბაზრო ეკონომიკის (სოციალური საბაზრო მეურნეობა) ჩამოყალიბების აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: სოციალური საბაზრო მეურნეობა; სახელმწიფოს როლი საბაზრო მეურნეობაში; სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მოდელი.

შესავალი

საბაზრო ეკონომიკის რეგულირებისადმი ინტერესი გაჩნდა XX ასწლეულის 30-იანი წლების მსოფლიო კრიზისის შემდეგ. ამ პერიოდში დასავლეთის ქვეყნები შეიარაღდნენ ჯ. მ. კეინზის სახელმწიფო რეგულირების კონცეფციით. მან უარი თქვა კლასიკური და ნეოკლასიკური მოძღვრებების ზოგიერთ პოსტულატზე, კერძოდ, ბაზრის, როგორც იდეალურ თვითრეგულირებად მექანიზმად განხილვაზე. ბაზარი, კეინზის აზრით, ვერ უზრუნველყოფს ეფექტიან მოთხოვნას, ამიტომაც მის სტიმულირებაზე უნდა იზრუნოს სახელმწიფომ საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით. ჯ.მ. კეინზის თეორიის პრაქტიკულობამ უზრუნველყო მისი წარმატება ომისშემდგომ წლებში. კეინზიანური რეცეპტები საფუძვლად დაედო „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოსა“ და შერეული ეკონომიკის კონცეფციას.

თუმცა, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დადგომასთან ერთად, 70-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შესაძლებლობების რწმენა შეირყა. 70-იანი წლების ხანგრძლივმა კრიზისმა მიგვიყვანა სახელმწიფო მაკროეკონომიკური რეგულირების შეწყვეტამდე. ამ პროცესს თან ახლდა პრივატიზაციის პროცესები. მიუხედავად იმისა, რომ პრივატიზაციამ უზრუნველყო მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი, მაინც ვერ იქნა მიღწეული ეკონომიკური განვითარების სტაბილიზაცია. ამის შედეგად გაჩნდა ბაზრის რეგულირების პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით დაუკმაყოფილებლობის განცდა. საბაზრო მეურნეობაში სახელმწიფოს როლის, მეურნეობის მართვაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხის შესახებ აქტიური მსჯელობა მიმდინარეობს.

რეგულირების სისტემის მკვლევარებს შორის იყვნენ ისეთები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენდა ეკონომიკური პროცესის მიყვანა საერთო წონასწორობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე. მათ შორის უნდა გამოვყოთ ლ. ერჰარდი და ვ. ოიკენი. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სახელმწიფო ჩარევას ეკონომიკაში. მათი აზრით, სწორედ ეკონომიკამ უნდა მოახდინოს ბაზრის ორგანიზება. ამან ასახვა ჰპოვა გერმანიაში.

შექმნილ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში სახელმწიფო და საბაზრო რეგულირებას შორის ზღვარს მთლიანად განსაზღვრავს საზოგადოებრივი აღწარმოების საჭიროებები, ეროვნული ტრადიციები და ჩვეულებები. სახელმწიფო ჩარევამ არ უნდა დაარღვიოს საბაზრო მექანიზმის ავტომატიზმი, რომელიც ეფუძნება თავისუფალ ფასწარმოქმნას, ეკონომიკური გადაწყვეტილებების დეცენტრალიზაციას. სახელმწიფო რეგულირებამ არ უნდა ჩაანაცვლოს კონკურენცია.

ქვეყნისთვის აღნიშნული პრობლემის აქტუალობას აძლიერებს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის (სოციალური საბაზრო მეურნეობა) აგების აუცილებლობა.

თანამედროვე მაღალეფექტიანი საბაზრო ეკონომიკა სულაც არ არის ისეთი, როგორიც იყო თავისი განვითარების საწყის სტადიაზე XVII-XVIII საუკუნეებში, როცა გაბატონებული იყო წვრილი წარმოება და კერძო მეწარმეობა, ძირითადად ინდივიდუალურ კერძო საკუთრებაზე. ამჟამად არ არსებობს ის თავისუფალი საბაზრო სტიქია, როცა წვრილი მესაკუთრე-მეწარმეები უძღვებოდნენ მეურნეობას საკუთარი რისკისა და შიშის ფასად, სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად, როცა ემორჩილებოდნენ ბაზრის ე.წ. „უხილავ“ მმართველ ხელს, რომლის შესახებაც თავის დროზე წერდა ა. სმიტი. გაბატონებული მსხვილი წარმოება, წვრილი და საშუალო მწარმოებლების მაღალი ხვედრითი წილისას, მუშაობს არა მხოლოდ საკუთარ ქვეყანაზე, არამედ მთელს მსოფლიო ბაზარზე. საკუთრება კი წარმოდგენილია არა მხოლოდ ინდივიდუალურ-კერძო ფორმად, არამედ იგი მნიშვნელოვანწილად ასოცირებულია კერძო საკუთრებასთან. გარდა ამისა, არსებობს ასევე სახელმწიფო, მუნიციპა-

ლური და სხვა საკუთრების ფორმები. და ვინაიდან წარმოება და საკუთრება სცდება ცალკეული ადამიანების საზღვრებს, დგება ადამიანთა ფართო მასებისა და ქვეყნის მთელი მოსახლეობის ინტერესების დონეზე, სახელმწიფომ ბუნებრივად და გარდაუვლად უნდა მიიღოს ეკონომიკა, როგორც საერთო მთლიანი, რომელთანაც დაკავშირებულია მთელი ქვეყნისა და მისი ხალხის ბედი თუ კეთილდღეობა. მან უნდა იზრუნოს ეკონომიკაზე, გაკეთოს ყველაფერი მისი წარმატებისა და ეფექტიანი განვითარებისთვის. ეს, როგორც წესი, ასეც ხდება თანამედროვე მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასლის საწყის ეტაპზე, რეფორმატორებს შორის მუსირებდა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ნაკლებად მოუწევდა ჩარევა ეკონომიკაში და ამიტომაც იგი უნდა ჩამოსცილებოდა ეკონომიკას. დაე, ეკონომიკა განვითარდეს თავისთავად, ბაზრის მმართველობის ქვეშ. ყველა იმედები დაკავშირებული იყო საბაზრო მართვის კანონებსა და მექანიზმებთან, ხოლო სახელმწიფოს ეკისრებოდა დამკვირვებლის როლი. საწარმოებსა და მეურნეობებს, რომლებიც ადრე სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდნენ, იმ პერიოდში მიეცათ დამოუკიდებლად განვითარების შესაძლებლობა, თუმცა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით მათ ვერ შეინარჩუნეს ნედლეულის, მასალების, მაკომპლექტებლების, საბრუნავი საშუალებების, საკუთარი პროდუქციის გასაღების ბაზრების გარანტირებული მიწოდება. იმ პერიოდში გაიზარდა ფასები ენერგომატარებლებზე, ლითონებზე, ხე-ტყესა და სხვა იმპორტირებულ მატერიალურ რესურსებზე, მაშინ ასევე გაჩნდა კონკურენცია ბაზარზე იაფი და უფრო მიმზიდველი იმპორტული საქოლის მხრიდან. იმედოვნებდნენ, რომ ბაზარი თავად მიუჩენს ყველაფერს საკუთარ ადგილს და უზრუნველყოფს ეკონომიკის ნორმალურ და ეფექტიან განვითარებას. როცა დაიწყო წარმოების ტემპის დაქვეითება, შემოსავლების შემცირება, ბიუჯეტის დეფიციტის გადიდება, ხარჯების შემცირება განათლებაზე, ჯანდაცვაზე, მეცნიერებაზე, კულტურაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე,

გაიზარდა და განმტკიცდა სახელმწიფოს როლი ქვენის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში, დაიწყეს საუბარი იმაზე, რომ სახელმწიფო თავს ვერ აარიდებს ეკონომიკაში ჩარევას, რომ მან ზემოქმედება უნდა მოახდინოს ეკონომიკაზე და რომ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, როგორიცაა იაპონია, საფრანგეთი და სხვ. სახელმწიფო ახორციელებს ასევე ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ინდიკატორულ დაგეგმვას.

ამჟამად არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ სახელმწიფომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს ქვეყნის ეკონომიკასა და სოციალურ განვითარებაში. უფრო მეტიც, შეიძლება დავამტკიცოთ, რომ სახელმწიფო არა თავისი სურვილისამებრ, არამედ ბუნებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, უნდა გახდეს ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის სოციალურად ორინეტირებული გზით განვითარების უზრუნველმყოფი სისტემის ერთ-ერთი უმნიშნელოვანესი ელემენტი. სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი როლი მდგომარეობს მის მარეგულირებელ საქმიანობაში, რომელმაც დაკარგა დირექტიული ხასიათი და ამჟამად გამოიხატება სათანადო საქმიანი ეკონომიკური გარემოს შექმნით. ერთი მხრივ, იგი გულისხმობს ჯანსაღი და მდგრადი მაკროეკონომიკური სიტუაციის შენარჩუნებას ფულად-საკრედიტო, საბიუჯეტო-საგადასახადო და ეკონომიკური პოლიტიკის სხვა სახეების მეშვეობით. მეორე მხრივ, სახელმწიფო პასუხისმგებელია სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაში ყველა მონაწილისათვის თანაბარი წესების დამკვიდრებაზე, კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, ქვეყანაში არსებობს პირობები, რომელთა წყალობითაც მისი მეურნეობის კომპლექსი ბოლოს და ბოლოს შეიძლება იქცეს მაღალეფექტიან საბაზრო ეკონომიკად, რომელიც შეძლებს მისცეს ქვეყნის მოსახლეობას მატერიალური და სოციალური სიკეთეები ყველაზე თანამედროვე და მისაწვდომი სახით. ბუნებრივი განვითარების მიმდინარეობა ამ მიზანს ემსახურება და საბოლოოდ აქეთკენ მივყავართ. მეწარმეობას ძალუძს ამ მიზნის მიღწევა, თუმცა, საჭიროა მიზა-

ნმიმართული მოქმედებები და სათანადო ზომების მიღება სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც მიმართული იქნება ამისათვის შესაბამისი, შემანარჩუნებელი და მასტიმულირებელი გარემოს შექმნისკენ.

სახელმწიფო ორგანოების, პირველ რიგში კი მთავრობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა უნდა გახდეს შესაძლებლობებისა და გზების გამონახვა შიდა დანაზოგების მობილიზაციისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის, რათა ისინი გამოყენებულ იქნას ჰიდროელექტროენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის მოწინავე მეცნიერებატევადი დარგების, ტურისტული და სანატორულ-საკურორტო ბიზნესის განვითარებისთვის. ასევე სოფლის მეურნეობისა, რომელიც იძლევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამამუშავებელი დარგების, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის განვითარების შესაძლებლობას. აღნიშნული დარგების კომპლექსს შეუძლია ქვეყნის შიდა ბაზრის შევსება იაფი და ხარისხიანი პროდუქტებითა და საქონლით, აუცილებელი პირობების შექმნა მოსახლეობის პირველადი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, სხვა პერსპექტიული დარგებისათვის შიდა დანაზოგების შესაქმნელად. აუცილებელია გაერთიანდეს ყველა არსებული და მოზიდული საინვესტიციო საშუალებები და გამოყენებულ იქნას იმგვარად, რომ მაღალი იყოს მათი პროდუქტიულობა მაღალეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის შექმნაში.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის რეალიზაციის საბოლოო შედეგია - ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონე. ასეთი მიზნის დასახვით, მთავრობამ თავის სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში პირველ რიგში უნდა იზრუნოს, რომ შრომისუნარიან ადამიანებს ჰქონდეთ სამუშაო და გამომუშავება. რასაკვირველია, საჭიროა გამომუშავება გაუთანაბრდეს თანამედროვე მაღალგანვითარებული ქვეყნების დონეს, მაგრამ ეს ერთბაშად ვერ მოხდება. იგი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა მეურნეობის დარგების კომპლექსი საბოლოოდ გადავა მაღალეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის რელსებზე. ამავდროულად, ბუნებრივი განვითარების კვალდაკვალ, აუცი-

ლებელია თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ იქნენ მოზიდული მოსახლეობის ფართო ფენები საწარმოებისა თუ ფირმების კაპიტალსა და მოგებებში მონაწილეობისთვის. უნდა იქნეს მიღწეული, რომ ადამიანები თავიანთ თავისუფალ ფულად საშუალებებს ათავსებდნენ ბანკებსა და სხვა ფულად-საკრედიტო დაწესებულებებში გარკვეული სარგებლით, ყიდულობდნენ მათ აქციებს და სხვა ფასიან ქაღალდებს დივიდენდებისა და საპროცენტო ანარიცხების სახით შემოსავლების მისაღებად. მატერიალური უზრუნველყოფის ამ გზას მივყავართ ხალხის საყოველთაო კეთილდღეობისკენ და ის აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელში სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ასევე მოსახლეობის სოციალურ-კულტურულ განვითარებაზე. პრინციპში, მაღალეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის ფარგლებში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება შეიძლება განხორციელდეს როგორც სახელმწიფო საბიუჯეტო საშუალებების, ასევე თავად მოსახლეობის ხარჯზე. მაგრამ თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, საბჭოთა დროში მისი უზრუნველყოფა ხდებოდა ცენტრალიზებული წესით, მთელი საზოგადოების შემოსავლების ხარჯზე. საბოლოოდ, ჩამოყალიბდა ერთგვარი სტერეოტიპი, როცა ყველა ეს სიკეთე მხოლოდ სახელმწიფოსგან მოდიოდა, თუმცა, რასაკვირველია, თავდაპირველად მათი ანაზღაურება ხდებოდა აღნიშნული სიკეთეებით მოსარგებლე ადაიანების შრომით. უფრო სწორი იქნებოდა ისეთი წესი, რომლის დროსაც აღნიშნული სიკეთეებით სარგებლობის საჭირო საბაზო დონე უზრუნველყოფილია სახელმწიფო საბიუჯეტო საშუალებებით, ხოლო უფრო უმაღლესი და უკეთესი ფორმით - იმ მოქალაქეების ხარჯზე, რომელთაც შეუძლიათ ამ ტიპის მოსახურებებისთვის თანხის გადახდა. საბაზო დონეზე სიკეთეების უფასოდ გაცემა უზრუნველყოფს სიკეთეების საყოველთაო მისაწვდომობას ადამიანის შემოსავლის მიუხედავად, გამორიცხავს შემთხვევებს, როცა ვინმე ვერ მიიღებს განათლებას, სასწრაფო სამედიცინო დახმა-

რებას და ა.შ.

სოციალური საბაზრო მეურნეობრივი ურთიერთობების ჭრილში ასევე იკვეთება უმუშევართა, ინვალიდთა, პენსიონერთა და უქონელთა მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფის ამოცანა. პრინციპში, ადამიანთა დასაქმების მაღალი ხარისხი და მათი მაღალეფექტიანი შრომა წარმოადგენს საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის მატერიალური და სოციალური კეთილდღეობის ძირითად საფუძველს. თუმცა, მაინც რჩება ავადმყოფების, შეჭირვებულების, ინვალიდების, მოხუცების მცირე ნაწილი, რომლებიც საკუთარი შრმი თ ვერ უზრუნველყოფენ საკუთარ თავს და არც სათანადო დახმარება და მხარდაჭერა აქვთ შვილებისა და ნათესავების მხრიდან. სახელმწიფოს ვალია იზრუნოს ამ ადამიანებზე, მისცეს მათ თავშესაფარი, საკვები, ტანსაცმელი და უზრუნველყოს შესაბამისი მომსახურებებით. მაღალეფექტიანი საბაზრო ეკონომიკა, რომელსაც დიდი მოგება მოაქვს მთელი საზოგადოებისთვის, შესაძლებლობას იძლევა გამოიყოს საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ადამიანებისთვის ნორმალური სასიცოცხლო პირობების შექმნას საშუალო საზოგადოებრივი საცხოვრებელი დონის ფარგლებში.

დასკვნა

ამრიგად, სოციალური საბაზრო ეკონომიკის ქართულ მოდელში სახელმწიფოს აქტიურობა გამოიხატება იმაში, რომ შეიქმნას და გაიხსნას სივრცე მოქალაქეთა ქმედითი ენერგიის გამოვლენისთვის, ეკონომიკაში ინიციატივისა და გერგილიანობის წარმოჩენისთვის, მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნისთვის მათ მიერ მაღალეფექტიანი შედეგების მისაღწევად როგორც ეკონომიკაში, ასევე სოციალურ სფეროში. სახელმწიფომ მიზანმიმართულად და მოკლე ვადებში უნდა მიიყვანოს ქვეყანა მაღალეფექტიანი სოციალური საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებამდე. ეს მისი ყველაზე მნიშვნელოვანი როლია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა. გვაზავა ბ. „ეკონომიკის ჰუმანიზაციის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი“,სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, თბილისი 2-3; 2019წ. გვ.15-20;

2. მალაშხია გ. „სოციალური ენერგია, სიმდიდრე, კეთილდღეობა“ „თბ. : „უნივერსალი”, 2013 . 79 გვ.

3. ხიზანიშვილი ვ. „სოციალური საბაზრო ეკონომიკა (გერმანული მოდელი)“მონოგრაფია. გამომცემლობა „ლოი“, თბილისი. 2020. გვ 130

4. ჭითანავა ნ. მონოგრაფია. „სოციალური ეკონომიკა: ფორმირება და განვითარება.“ I ნაწილი თბ., 2008 სამეცნიერო ანალიტიკური ჟურნალი

5. Сорвиров Б. В. Модели социального и экономического пространства в экономических концепциях Германии / Монография. - М.:МПА,2002.-365с.- 21,2а.л.

6. Ходусов А.А. К вопросу о сущности и проблемах социального государства // Вестник Московского государственного областного университета. Серия: Юриспруденция. 2018. №4.С. 114–125.DOI:10.18384/2310-6794-2018-4-114-125

7. Erchard Ludwig Stiftung E.V.Bonn. Standart Texts on the Social Market Economy Gustav Fischer Verlag Stuttgart New York, 1982.

REFERENCES:

1. Abralava A. Gvazava B. “Some Important Mechanisms of Humanization of the Economy”, Scientific Journal “Social Economy”, Tbilisi 2-3; 2019 pp. 15-20;

2. Malashkhia G. “Social Energy, Wealth, Prosperity” “Tb. : “Universal”, 2013. 79 p.

3. Khizanishvili V. “Social Market Economy (German model)” monograph. “Loi” publishing house, Tbilisi. 2020. p. 130

4. Chitanava N. Monograph. “Social Economy: Formation and Development.” Part I Tb., 2008 Scientific Analytical Journal.

5. Sorvirov B. V. Models of social and economic space in economic

concepts of Germany / Monograph. - M.:МПА, 2002.-365p.- 21,2 а.л.

6. Khodusov A.A. –Some Issues about the Essence and Problems of Social Government // Вестник Московского государственного областного университета. Серия: Юриспруденция. 2018. №4.С. 114–125.DOI:10.18384/2310-6794-2018-4-114-125;

7. Erchard Ludwig Stiftung E.V.Bonn-Standard Texts on the Social Market Economy Gustav Fischer Verlag Stuttgart New York, 1982.

THE ROLE OF THE STATE IN FORMATION OF THE SOCIALLY ORIENTED MARKET ECONOMY

Grigol Abralava
PhD Student at GTU,
r.kutateladze@gtu.ge
Anzor Abralava
Professor at GTU,
a.abralava@gtu.ge

RESUME

Nowadays, the representatives of both neo-Keynesian and neo-classical schools have a feeling of dissatisfaction regarding the solution of the problem of market regulation. In addition, in the conditions of strengthening international interdependence of national economies, there is a need for an agreed international anti-crisis regulation, that should strengthen the impact on market development. In this regard, the issue of the role of the state in the market economy still causes lively debate among economists. The degree of state participation in the management of the economy is one of the most urgent and unsolved problems in economic theory. The relevance of the abovementioned problem for the country is strengthened by the need to establish a socially oriented market economy (social market economy).

Keywords: social market economy; the role of the state in the market economy; Socially oriented market economy model.